ების საჭიროება, სპეციალური ტექნიკის საწვავით უზრუნველყოფა, ქირის, იჯარის, თხოვების ან სხვა ფორმით ... სარგებლობაში, კერძო მფლობელობაში მყოფი იმ ავტომანქანების საწვავით უზრუნველყოფა, რომლებსაც იყენებენ ...ერეობრივი დანიშნულებისათვის და სხვა), სატენდერო კომისის თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია საწვავის ...ოდვა განხორციელდეს „აგაი“ სისტემის გარეშე. თუ „აგაი“ სისტემის გარეშე შესასყიდი დიზელის მოცულობა 2015 წლის ...ანავლობაში, ჯამურად 128 ლიტრს აღემატება, შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიღების ...ზნით შემსყიდველი ორგანიზაცია წერილობით/ელექტრონულად მიმართავს სატენდერო კომისიას და წარუდგენს შესაბამის ...ინფორმაციას სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით. 2015 წლის განმავლობაში, ჯამურად, „აგაი“ სისტემის გარეშე 3000 ლიტრზე ნაკლები მოცულობის დიზელის შესყიდვის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება სატენდერო კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე. შემსყიდველი ორგანიზაცია ცნობის სახით, ელექტრონულად ატყობინებს სატენდერო კომისიას ასეთი შესყიდვის შესახებ მას შემდეგ, რაც გააფორმებს შესაბამის შესყიდვის ხელშეკრულებას.

ე) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიას 2015 წლის განმავლობაში სამჯერ, არანაკლებ სამთვიანი ინტერვალით წარუდგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან რომელიმე საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც აქვს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება საწვავის ექსპერტიზის სფეროში, გაცემული დასკვნა დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ცეტანის რიცხვი, გოგირდის შემცველობა, სიმკვრივე, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი, ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის კალიბრი, წყლის შემცველობა.

6.2 შემსყიდველ ორგანიზაციას ან მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს ალტერნატიული ექსპერტიზა, თუ რომელიმე მათგანი არ ეთანხმება გეგმიური ექსპერტიზის შედეგებს. ასეთ შემთხვევაში, ალტერნატიული ექსპერტიზის ხარჯები უნდა გაიღოს იმ მხარემ, რომელმაც მოითხოვა ალტერნატიული ექსპერტიზა. ალტერნატიულ ექსპერტიზას აქვს უპირატესი ძალა, თუ იგი შესრულებულია საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც აქვს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება საწვავის ექსპერტიზის სფეროში. ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელსა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებელს შორის რაიმე საკითხთან დაკავშირებით (მაგ. საწვავის წარმოშობის ქვეყანასთან, მიმწოდებლისა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებლის ურთიერთდამოკიდებულებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ექსპერტიზის დასკვნის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა).

7.ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ)ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. არასაბარათე, საბარათე და „აგაი“ სისტემის მეშვეობით დიზელის მიწოდებისას ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის არ ხორციელდება დამატებითი შეთანხმებების სახით მიმდინარე სახელშეკრულებო ფასის ყოველთვიურად ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასზე დაყრდნობით.

7.4 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ფასი გამოითვლება ამ (თუ ხელშეკრულების) წესის მე-4 მუხლში მითითებული ფორმულის მეშვეობით.

8.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა